



იმის გათვალისწინებით, რომ საკრებულომ დაამტკიცა არა მერიის მიერ წარდგენილი პროექტი, არამედ მან თვითნებურად შეცვალა განმარტებით ბარათში აღნიშნული I კექტარი ტერიტორია 7-8 კექტარამდე მიწის ნაკვეთად, რაც მის უფლებამოსილებას აშკარად სცილდება. საკრებულოს ქმედებაში იკვეთება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. ეი მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია

დაინტერესებულ პირთათვის ოფიციალური დოკუმენტებისა და მასალების არასრულად და დამახინჯებულად წარდგენა რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა წარმოადგენს თანამდებობის პირების მიერ სსკ-ის 167-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის კლასიკურ მაგალითს.